განახლებულია: 30.09.2024

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ლინგვისტიკა/Linguistics**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**ლინგვისტიკის მაგისტრი/Master of Linguistics**
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	მამია ფაღავა, პროფესორი, ელ.ფოსტა: mamia.phagava@bsu.edu.ge მაია ბარამიძე, პროფესორი, ელ.ფოსტა: maia.baramidze@bsu.edu.ge თემურ ავალიანი, ასოცირებული პროფესორი, ელ.ფოსტა: temur.avaliani@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	120 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ენა - B2 დონე და სპეციალობა; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	✓ მისცეს ქართველური ენათმეცნიერების (შედარებითი და შეპირისპირებითი), ქართველურ ენათა სტრუქტურის, ქართველური დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიის, ონომასიოლოგიის, ტექსტის ლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკის, ფუნქციური სტილისტიკის, მწერლის ენისა და სტილის კვლევის საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა; ✓ სამეცნიერო კვლევისათვის დარგის თანამედროვე მეთოდების (მათ შორის ენობრივ მონაცემთა ციფრული დამუშავების) უპირატესობის გააზრება; ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების შესწავლის მნიშვნელობის გაცნობიერება; ენის კულტუროლოგიური ასპექტების ზოგადსაკაცობრიო კონტექსტში გააზრება, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ჰუმანიტარული სფეროს გამოწვევების შეფასება და საკითხისადმი ინტერდისციპლინური მიდგომა; ✓ საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული წერის პრინციპების, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმების დაცვით სამეცნიერო კვლევის დაგეგმვა-წარმართვა; ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, დაცვის და ენობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნების პასუხისმგებლობა.

სწავლის შედეგები	✓ ავლენს ქართველური ენათმეცნიერების ღრმა და სისტემურ ცოდნას; ფლობს ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების სტრუქტურა-ფუნქციონირების საკითხებს; იცის ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის, ქართველური დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის საკითხები; ✓ აცნობიერებს ლინგვისტური პრობლემების გადაჭრის გზებს; ✓ იყენებს ქართულის და/ან მასთან ერთად მეგრულის, ლაზურის, სვანურის სტრუქტურულ კომპონენტებს; სიღრმისეულად ფლობს საანალიზო მასალის შეგროვება-დამუშავების მეთოდებს; ✓ ამჟღავნებს ქართული ენობრივი მოვლენებისა და ფაქტების კვლევის, დამუშავებისა და ანალიზის უნარს; ✓ ქმნის გამართული სტრუქტურის, ლოგიკურად დასაბუთებულ, არსებითი აკადემიური სტანდარტების შესაბამის ორიგინალურ სამეცნიერო ნაშრომს; კვლევისას იყენებს უახლეს ლინგვისტურ მეთოდებსა და მიდგომებს, ითვალისწინებს თეორიულ დისკურსებს; ✓ პატივს სცემს ქართულს, როგორც სახელმწიფო ენასა და ქართველურ ენობრივ მრავალფეროვნებას, ტოლერანტულია ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ.